საქართველოს სახელმწიფო ტფილისი ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

1928 წლის დეკემბრის 31.	№ 23 ვანყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 265. დადგენილება ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-IV სესსიისა—ა/კსფსრ ფინანსათა სახალხო კომისრის ამხ. მ. დ. ჭუსეინოვის მოხსენებისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ა. ნაზარეთიანის თანამოხსენების გამო „ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

დადგენილება ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-IV სესსიისა

265. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. მ. დ. ჭუსეინოვის მოხსენებისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ა. ნაზარეთიანის თანამოხსენების გამო „ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე სესსიამ მოისმინა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ჭუსეინოვის მოხსენება და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ა. ნაზარეთიანის თანამოხსენება „ა/კსფსრ 1928/29 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და იგი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ა/კსფსრ მთავრობის საფინანსო პოლიტიკა მთლად დადასტრუებულ იქნეს.

ბ. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. სექტემბრის 25-ს დადგენილებით მიღებულ ა/კსფსრ 1928/29 საბიუჯეტო წლის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის მიერ შეტანილი შემდეგი ცვლილებიანი.

I. ა/კსფსრ 1928/29 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავალო ნაწილში გადიდებულ იქნეს შემდეგი სახის შემოსავალი:

1) სარეწავი გადასახადი, რაც გამოანგარიშებულია თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. აგვისტოს 20-ს დამტკიცებული დებულებისა—სახელმწიფო სარეწავი გადასახახადის შეკახებ—37.200.000 მანეთამდე (93%).

2) საშემოსავლო გადასახადი—14.008.500 მანეთამდე (99%).

3) სათანადოდ შემცირებულ იქნეს ის თანხა, რომლითაც ხარჯი შემოსავალს აღემატება.

II. საგასავალო ნაწილში,—სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/კსფსრ-ის 1928/29 საბ. წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოოდ დამტკიცების მიხედვით,—უზრუნველყოფილ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ შედგენილებაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ხარჯთაღრიცხვებით, ამა დადგენილების თანახმად სახალხო კომისარიატთა ხარჯებისათვის მიღებულ დანიშნულებათა ფარგალში,—20.000 მან. საბჭოთა ქვედა აპარატის მომუშავეთა ხელახალი მომზადებისათვის,—ამ თანხის შემდეგნაირად განაწილებით:

ა/კ. ცენ. აღმ. კ—ტის ხარჯთაღრიცხვით	8.000 მან.
აზერბაიჯანის ცენ. აღმ. კ—ტის „	5.000 „
სომხეთის ცენ. .აღმ.კ—ტის „	2.000 „
საქართველოს ცენ. აღმ. კ—ტის „	5.000 „

III. გადიდებულ იქნეს ა/კსფსრ 1928/29 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის ბალნსი, რისთვისაც როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილში შეტანილ იქნეს 1.500.000 მან., რაც შეადგენს ა/კსფსრ ტერიტორიაზე ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის რეალიზაციის თანხების 10%-ს.

ბ. ზემოაღნიშნულ ცვლილებათა მიხედვით ა/კსფსრ 1928/29 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნეს შემდეგ თანხებად:

I. სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის საერთო ჯუმლით:

შემოსავალი	101.500.269 მან.
ხარჯი	143.882.108 „
შემოსავალზე ხარჯის გადამეტება	42.381.839 „

II. აღიძრას სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა, რათა ა/კსფსრ 1928/29 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით ნავარაუდევ შემოსავალზე ხარჯის გადამეტება (42.381.839 მან.) დაფარულ იქნეს როგორც კავშირის მასშტაბით მიღებული საღერბო გადასახადის შემოსავლის საერთო თანხის ანარიცხებიდან, ისე სხვა საერთო-საკავშირო საშემოსავლო წყაროებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. აღიძრას სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა:

I. რათა ა/კსფსრ 1928-29 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გადატანილ იქნეს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის სექტემბრის 25-ს დადგენილების თანახმად, შემდეგი ხარჯი:

1) ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის ხაზით—შრომის დაცვისა და შრომის ბაზრების ღონისძიებათათვის, რაც წინა წლებში უზრუნველყოფილი იყო სოციალური დაზღვევის სახსარით,—124.158 მან.;

2) ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ხაზით—ხარჯები საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გამოკვლევათა საწარმოებლად, რაც წინად უზრუნველყოფილი იყო სსრკ-ის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სახსარით—160.000 მან.

II. ა/კსფსრ 1928-29 წლ. სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი ხარჯების მოთავსების შესახებ:

1) ტყის მომუშავეთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ა/წ. აგვისტოს 8-ს დადგენილების თანახმად (ოქმი № 59, მუხ. 7) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. ოქტომბრის 17-ს დადგენილების დასადასტურებლად—700.000 მან.

2) 1927-28 საბ. წელს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკისათვის, შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წ. ივნისის 13-ს დადგენილების თანახმად, დეფიციტის დასაფარავად გადაცემული—800.000 მან. ასანაზღაურებლად.

ე. რადგანაც სტატისტიკისა, ვაჭრობის მოწესრიგებისა ტ მუშათა ტ გლეხთა ინსპექციის ორგანოების მომუშავეთა აწინდელი რაოდენობითი და თვისებითი შედგენილობის მიხედვით, აგრეთვე მათი ფუნქციების გაფართოების გამო,—ეს ორგანოები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას მთელის მოცულობით შეასრულონ მათთვის დაკისრებული საქმე,—დადასტურებულ იქნეს არსებული წესისამებრ აღძრული შუამდგომლობანი აღნიშნული ორგანოებისათვის 1928-29 საბიუჯეტო წელს ასიგნვათა გადიდების შესახებ შემდეგი რაოდენობით:

ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს	252.862 მან.
ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს	28.000 მან.
ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს .	250.000 მან.

3. აღიძრას სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა, რათა ა/კსფსრ-თვის 1928-29 საბიუჯეტო წელს უზრუნველყოფილ იქნეს საერთო-საკავშირო სახსარიდან შემდეგი ასიგნვები:

I. სოფლის მეურნეობის ფინანსიურად მოგვარებისათვის . .	8.205.789 მან.
ამ რიცხვში:	
1) გადასახლების საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ღონისძიებათა ფინანსიურად მოგვარებისათვის . . .	1.473.000 მან.
2) ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტის იმ ზარალის დასაფარავად, რასაც მიწების სასუქით გაპატიებების კამპანია გამოიწვევს 1928-29 და 1929-30 წლებში. .	530.000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის . . . . . 750.000 მან.
4) ოთხფეხი საქონლის ჭირთან ბრძოლისათვის . . . . 3.991.300 მან.
5) ამიერკავკასიის საეტერინარო ინსტიტუტის შესანახად 1.041.100 მან.
6) სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის იმ ზარალის დასაფარავად, რასაც სესხთა ჩამოწერა გამოიწვევს . . . . . 420.389 მან.

II. წყალთა მეურნეობისათვის . . . . . 13.209.200 მან.
III. აზერბაიჯანის სსრ-ში ბამბის მიწების სიერცის გასაფართოებლად საჭირო ღონისძიებათათვის—სამელიორაციო ფონდის ხაზით . . . . . 1.770.000 მან.
IV. ელექტროფიკაციისათვის . . . . . 9.440.000 მან.
V. ამიერკავკასიის საექს.-საიმპ. ვაჭრობის კონტორის ძირითადი კაპიტალისათვის . . . . . 1.000.000 მან.
VI. ვაჭრობის სფეროში კაპიტალური მშენებლობისათვის . 2.000.000 მან.
VII. მაცივართა მშენებლობისათვის . . . . . 1.456.800 მან.
VIII. კოოპერაციის ფინანსიურად მოგვარებისათვის . . . . 274.000 მან.
IX. ბინების მშენებლობისათვის—ცენტრალური კომუნალური ბანკის გრძელვადიანი კრედიტის წესით. . . . . 16.500.000 მან.
X. კომუნალური მშენებლობისათვის—გრძელვადიანი ფინანსიური მოგვარების წესისამებრ—ცენტრალური კომუ. ნალური ბანკის ხაზით . . . . . 2.845.000 მან.
XI. ტეხნიკური განათლების ფინანსიურად მოგვარების საქმის გაძლიერებისა და პროფესორთა და ლექტორთა შედგენილობისა და სტუდენტების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის—იმ სახსარიდან, რაც გადადებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივლისის 27-ს დადგენილებით; აგრეთვე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 17-ს დადგენილების დასადასტურებლად . . . . . 3.977.090 მან.
XII. სახელმწიფო გამომცემლობათა ფინანსიურად მოგვარებისათვის—გრძელვადიანი კრედიტის წესით . . . . . 600.000 მან.

ზ. ამასთანავე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესსია ადგენს:

I. აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში გათვალისწინებულია თვალსაჩინო ზრდა საკუთარი რესპუბლიკანური შემოსავლისა და აგრეთვე, რომ, მიუხედავად საქონლის ბრუნვიდან კერძო სექტორის ინტენსიური განდევნისა, პირდაპირი გადასახადების ზრდის ტემპი, 1927-28 საბიუჯეტო წელთან შედარებით, თანდათან მატულობს—განზოგადოებული, განსაკუთრებით კოოპერატიული, სექტორის სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა ბრუნვის საღ ზრდასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერძოდ:

1) სარწყავი გადასახადის ზრდა, კერძო საწარმოთა განდევნით გამოწვეული ფინანსიური ხასიათის დანაკლისის პირობებში, საზღვრითია.

2) საშემოსავლო გადასახადის აღრიცხვის გაძლიერებული ზრდა შეიძლება მიღწეულ იქნეს, უკეთუ სრულად იქნება მიღებული აზნავთისაგან მოსალოდნელი შემოსავალი და, საერთოდ, შესაფერისად დაძაბული იქნება საფინანსო აპარატის ძალღონე.

3) ტყის შემოსავლის აღრიცხვის შემდგომი გადიდება ყოვლად შეუძლებელია.

სესსია ადასტურებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სექტემბრის 25-ს დადგენილებას, მიაჩნია რა, რომ ეს საკითხი სპეციალურად უნდა იქნეს განხილული, როდესაც მოსმენილი იქნება ა/კსფსრ სატყეო მეურნეობის შემსწავლელი განსაკუთრებული კომისიის მოხსენება.

4) ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი აღრიცხულია ისე, რომ ანგარიშში მიღებულია ყველა რეალური საშემოსავლო შესაძლებლობა და თითქმის გადამეტებითაც; ამის გამო საშემოსავლო დანიშნულებათა შემდგომ გადიდებას შეუძლიან ჩაყენოს ბიუჯეტი და მისი საგასავლო ნაწილი საფრთხეში, ე. ი. გამოწვიოს შემცირება წლის განმავლობაში.

II. 1928-29 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ხარჯების სფეროში:

1) აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტი აგებულია საინდუსტრიალიზაციო პოლიტიკის თანდათანი გაღრმავების საფუძველზე და რომ ამ ბიუჯეტში უაღრესი ზრდა ეტყობა ისეთ ასსიგნებს, რაც გადადებულია სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების ფინანსიურად მოგვარებისათვის.

2) საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტით მრეწველობის ფინანსიურად მოგვარებისათვის გადადებული ასსიგნები მიღწეულ იყოს 23.542.900 მანეთამდე, რადგანაც მხედველობაში მიღებულია დაწყებულ მშენებლობათა დამთავრებისა და ახალ მშენებლობათა დაწყების უზრუნველყოფა; აგრეთვე ფინანსიურად მოსაგვარებელია ახალ შენობათა კაპიტალური მშენებლობა, რასაც საექსპორტო მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეს ახალი შენობანი საჭიროა მომქმედ საწარმოთა წარმოების ნორმალური განვითარებისათვის, განსაკუთრებით საშენი მასალის მწარმოებელ საწარმოთათვის.

3) აღინიშნოს, რომ ინდუსტრიალიზაციის გეგმის ფართოდ გაშლასთან მჭიდროდ დაკავშირებულია ელექტროფიკაციის სათანადო ასიგნებით უზრუნველყოფის საკითხი—დაწყებული მშენებლობის განსაგრძობად და აგრეთვე მეორე რიგში მყოფ ელექტრო-სადგურების ასაგებად, რასაც კავშირი აქვს სამრეწველო გეგმის განხორციელებასთან.

4) სრულის სავსებით დადასტურებულ იქნეს ამიერკავკასიის მთავრობის გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობისათვის ასიგნვათა თვალსაჩინოდ გადიდების შესახებ, რადგანაც აუცილებლად საჭიროა, რომ ა/კსფსრ-ში სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი—რაც შეიძლება—გაძლიერებულ იქნეს, განსაკუთრებით ძვირფასი სანედლეულო კულტურების სფეროში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით აღინიშნოს, რომ სწორე კურსია მიღებული სოფლის მეურნეობაში განზოგადოებული სექტორის (კოლ. მეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი) ფინანსიურად მოგვარების საქმის გაძლიერებისათვის და აგრეთვე მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის დასაკრედიტებლად გადასადები სახსარის გადიდებისათვის.

აღიარებულ იქნეს, რომ სრულიად დროს-შესაფერისია სახსარის გადადება ა/კსფსრ-ში სამი ახალი საბჭოთა მეურნეობის შესაქმნელად (აზერბაიჯანის სსრ-ში—ბამბის მეურნეობისა, სომხეთის სსრ-ში—მესაქონლეობისა და საქართველოს სსრ-ში—სათესლე-საჯიშო მეურნეობისა), არსებულ საბჭოთა მეურნეობათათვის ასიგნვათა გადიდებასთან ერთად.

5) აღიარებულ იქნეს ა/კსფსრ-ის პირობებში მელიორაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც, ამიერკავკასიის ბუნების თავისებურობის მიხედვით, ძირითადი ფაქტორია სანედლეულო მეურნეობის განვითარების საქმეში, როგორც სამრეწველო-სატეხნიკო კულტურების (ჟერძოდ ბამბის) პროდუქციის გადიდების მხრით, ისე მთლად სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის მხრით; თანაც მელიორაცია ერთად-ერთი რეალური ღონისძიებაა ამიერკავკასიის აგრარულად შემჭიდროებული რაიონების (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში და სომხეთში) ზედმეტი მოსახლეობის მიწის ფონდით უზრუნველსაყოფად.

აღინიშნოს, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არსებული სარწყავი სისტემების ექსპლოატაციის საქმის გაუმჯობესებას. ამასთანავე, აღიარებულ იქნეს, რომ სრულიად სწორია ამიერკავკასიის მთავრობის პოლიტიკა, რომლითაც უახლოეს წლებში ყურადღების ცენტრი გადატანილ უნდა იქნეს ადგილობრივი სისტემების რეკონსტრუქციასა და გაუმჯობესებაზე, აგრეთვე ახალი მშენებლობის განვითარებაზე წყლის სატუმბავებისა და ქიაღრიზების დარგში, განსაკუთრებით საბამბო დასახლებულ რაიონებში.

ამასთან ერთან ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს, რომ წყლის ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის მთავრობის იმ დადგენილების განხორციელებისათვის, რომლითაც გადაწყვეტილია—მიმდინარე 1928-29 წელს ა/კსფსრ-ში საბამბე მიწების სივრცის გაძლიერებული ტემპით გაფართოება. ამის გამო საჭიროდ იქნეს ცნობილი ყველა საამისო ღონისძიების სრულად და თავის დროზე უზრუნველყოფა.

დადასტურდეს ამიერკავკასიის მთავრობის ყველა წინასწარი გადაწყვეტილება გზათა მშენებლობის სფეროში და საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების სარემონტო მუშაობისა და საერთო მანძილგანფენილობის გადიდებისათვის გაღებული უნდა იყოს არა ნაკლებ 3.000.000 მანეთისა.

7. სახალხო კომისარიატთა ხარჯების სფეროში:

ა) აღინიშნოს, რომ საკავშირო მთავრობის დირექტივი საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემდგომი შემცირების შესახებ ა/კსფსრ 1928-29 საბირჯეტო წლის ბიუჯეტით შესრულებულია მხოლოდ ამ ხარჯების იმ ნაწილის მიმართ, რაც 1927-28 საბიუჯეტო წლის ბიუჯეტიდან გადმოდის (ახალი ხარჯების გარეშე) და ეცნობოს სსრკ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ აღნიშნული დირექტივის სისავსით შესრულება გამოიწვევდა ა/კსფსრ 1928-29 წლის ბიუჯეტიდან ისეთი ხარჯების ამოშლას, რაც ნავარაუდევია ა/კსფსრ საბჭოთა ყრილობის მოწვევისათვის, ა/კავკ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მოწყობისათვის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს აპარატის შენახვისათვის (ეს წინა წლებში უზრუნველყოფილი იყო სამრეწველო საწარმოთა მოგებით), ნოტარიატის შესანახად საჭირო ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტზე გადატანისათვის, შრომის ბირჟების ინსპექციის ორგანოების გაძლიერებისათვის, აგრეთვე სხვა ხარჯებისაც, რომლებიც გათვალისწინებულია სსრკ-ის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების სათანადო დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით;

ბ) რადგანაც ა/კსფსრ სახელმწიფო და ადგილობრივი აპარატის შემდგომი გაიაფება მჭიდროდ დაკავშირებულია ამიერკავკასიის დარაიონების პრობლემასთან, აგრეთვე როგორც მთლად აპარატისა, ისე მისი ცალკე ნაწილების სისტემატიურ შესწავლასთან და რადგანაც, ამასთანავე, ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების გამოცდილება ამ სფეროში,—საჭიროდ იქნეს ცნობილი ა/კსფსრ დარაიონების მიმდინარე წელსავე დამთავრება, რისთვისაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ყველა რესპუბლიკის ადმინისტრატიული დაყოფის ზოგადი პრინციპების ერთიანობა;

გ) აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში განგრძობილია გადამწყვეტი კურსი სოციალურ-კულტურულ საჭიროებათა უპირატესი დაკმაყოფილებისა და უზრუნველყოფილია სოციალურ-კულტურული ხასიათის სახალხო კომისარიატებისათვის გადასადებ ასიგნვათა მაქსიმალური ზრდა;

დ) რადგანაც რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატების ხარჯთაღრიცხვების ზრდა ჰგულისხმობს მხოლოდ დაუყოვნებელ ღონისძიებათა, რასაც კავშირი აქვს არსებულ სასწავლებელთა ქსელის ფინანსიურად მოგვარებასთან და მათ ბუნებრივ ზრდასთან, აგრეთვე რადგანაც უმაღლესი სასწავლებლები საკმარისად გაწყობილნი არ არიან, ხოლო პროფესორთა და ლექტორთა შედგენილობის მატერიალური მდგომარეობა ნაკლებად უზრუნველყოფილია, თანაც საჭიროა კაპიტალური მშენებლობის გაძლიერება,—აუცილებელ საჭიროებად იქნეს ცნობილი, რათა აღნიშნულ ღონისძიებათათვის გადაიდოს 3.977.090 მან.

8. რადგანაც ა/კსფსრ ადგილობრივი ბიუჯეტები ჯერ კიდევ საკმარისად მომაგრებულნი არ არიან და მათ ჯერ-ჯერობით მტკიცე მატერიალური ბაზა არა აქვთ; ამასთანავე ადგილობრივი საბჭოები იძულებულ არიან გასწიონ თვალსაჩინო ხარჯები კულტურული რევოლიუციის მიერ წარმოშობილი მიზნებისათვის, კერძოდ,—საყოველთაო დაწყებითი სწავლების განხორციელებისათვის, აგრეთვე კულტურის დარგში მომუშავეთა (მასწავლებელთა) სამუშაო ხელფასის წინ წაწევისათვის, იმიტომ, რომ ეს სამუშაო ხელფასი, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით, დაბალ დონეზეა,—დადასტურებულ იქნეს ამიერკავკასიის მთავრობის გადაწყვეტილება—ა/კსფსრ 1928-29 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სათანადო სახსარის დატოვების შესახებ—ა/კსფსრ ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის დახმარების გასაწევად, განსაკუთრებით მასწავლებელთა სამუშაო ხელფასის ფონდისათვის.

9) აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო საკრედიტო ოპერაციები ა/კსფსრ-ში თვალსაჩინო წარმატებით ვითარდება და თვითეული სესხის კამპანიის დროს საგრძნობლად წინ უსწრებს საკონტროლო დავალებათ; ამის გამო აღიარებულ იქნეს, რომ ა/კსფსრ-ში ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის რეალიზაცია 15 მილიონ მანეთზე გადამეტებით დიდი მიღწევაა სახელმწიფო კრედიტის სფეროში.

მიენდოს ამიერკავკასიის მთავრობას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას, რათა გლეხობის მიერ დაზოგვილი სახსარი წარიმართოს სახელმწიფო კრედიტის მიმართულებით.

Ი. აღინიშნოს, რომ საერთო საკავშირო შემოსავლიდან ა/კსფსრ ბიუჯეტში გადასარიცხი თანხების რაოდენობის ყოველწლივ გადასინჯვის არსებული პრაქტიკა და ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში ამ რაოდენობის შემდგომი შემცირება არღვევს კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების ძირითად საფუძველს და სპობს შესაძლებლობას ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტის უდეფიციტოდ დაბალანსებისას მისი აგების დროს. ამის გამო აღიძრას სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე საკითხი, რომ საშიროა დეფიციტიანი მოკავშირე რესპუბლიკებისათვის დამყარებულ იქნეს საერთო-საკავშირო შემოსავალის ანარიცხების მტკიცე ნორმები.

Ი. რადგანაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში, აგრეთვე ცალკე სახალხო კომისარიატებსა და დაწესებულებებში მეტის-მეტად აპრელებულია საადმინისტრაციო-სამეურნეო და სოციალ-კულტურული სახის ზოგიერთი ხარჯების საშუალო რაოდენობა (ერთი სტუდენტზე, ერთი პატიმარზე და სხვ.),—საჭიროდ იქნეს ცნობილი მიმდინარე წელს ამ ხარჯების ნორმალიზაციის განხორციელება უკანასკნელ წლებში მიღწეულ საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების ჯგუფის შემცირებისა და ცალკე რესპუბლიკებში არსებული სოციალურ-კულტურული ხასიათის ხარჯების ფაქტიური ნორმების დაწვრილებითი შესწავლის საფუძველზე.

Ა. აღინიშნოს, რომ თუმცა 1928-29 წლის საბიუჯეტო კამპანია შედარებით ხელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა იმ მხრით, რომ სსრკ-ისა და ა/კსფსრ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ თავის დროზე იყო გაცემული ყველა დირექტივი და განკარგულება ბიუჯეტის შედგენისათვის,—მაინც 1928-29 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის აგების ტეხნიკასა და ორგანიზაციაში მოიპოვება მთელი რიგი ნაკლულოვანებანი (ბიუჯეტის საკონტროლო (ციფრების დაგვიანებით განხილვა, ხარჯთაღრიცხვებისა და მთლად ბიუჯეტის წარდგენის ვადების დარღვევა და სხვ.). ამის გამო მიენდოს ა/კსფსრ მთავრობას—მიიღოს სათანადო ღონისძიებანი შემდგომ საბიუჯეტო მუშაობაში ყველა ამ დეფექტის თავიდან ასაცილებლად, რისთვისაც არ უნდა მოერიდოს საბიუჯეტო მუშაობის ნორმალური მსვლელობის შემაფერხებელ პირთა და ორგანიზაციათა პასუხისგებაში მიცემას და მათ მიმართ საბიუჯეტო-საფინანსო საზედმოქმედო ღონისძიებათა შეფარდებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის როლი, როგორც საბიუჯეტო სახსარის სოფლის მეურნეობაში გამტარებლისა და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის იარაღისა, თანდათან იზრდება; ამის გამო მთავრობის ორგანოებმა ყურაღღება უნდა მიქცეონ იმ გარემოებას, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის მთელი რიგი დეფექტები; კერძოდ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ:

I. საბიუჯეტო სახსარი სულ ბოლო საფეხურზე მყოფ მსესხებლამდე დაგვიანებით აღწევს.

II. საბიუჯეტო სახსარის ნაწილი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკებშივე რჩება (გადასახლების კრედიტებისა, ღატაკთა ფონდისა და სხვ.)

III. საბიუჯეტო სახსარი არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოიყენება.

IV. საბიუჯეტო სახსარი მექანიკურად ნაწილდება ქვედა ქსელს შორის, რეალურ საჭიროებათა ანგარიშში მიუღებლად და კრედიტების სეზონისათვის შეუფარდებლად.

V. გადასახლებაზე და მელიორაციაზე სახსარის ხარჯვას უმეტეს შემთხვევაში არა აქვს გეგმიანობა, ტეხნიკური ზედამხედველობა და კონტროლი.

VI. ირღვევა კრედიტის პირობები: საბიუჯეტო კრედიტების ვადების შემოკლება, ამ კრედიტების საპროცენტო განაკვეთების გადიდება და სხვ.

VII. ქვედა ქსელში საკრედიტო დისციპლინა სუსტად არის დაყენებული.

VIII. კრედიტისათვის სოციალური მიმართულების მიცემის პრაქტიკა გამრუდებულია და დამახინჯებული.

მიენდოს ამიერკავკასიის მთავრობას წარუდგინოს—ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უახლოეს სესსიას მოხსენება—რა ღონისძიება იქნა მის მიერ მიღებული ა/კსფსრ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მუშაობის გაჯანსაღებისა და რაციონალიზაციისათვის.

ბ. წინადადება გაიცეს—გაძლიერებულ იქნეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მუშაობა ა/კსფსრ სახელმწიფო აპარატის შესასწავლად, მისი შემდგომ გამარტივებისა და გაიაფებისათვის.

გ. შეუსაბამოდ იქნეს მიჩნეული, რომ ზოგიერთ სახალხო კომისარიატსა და დაწესებულებას პრაქტიკად აქვს მიღებული—ბიუჯეტ-გარეშე და სპეციალური სახსარისა, აგრეთვე საოპერაციო კრედიტების ნაწილის საადმინისტრაციო-საგამგებლო საჭიროებისათვის ხარჯვა. რაც ფაქტიურად აბათილებს საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების 20%-ით შემცირების შესახებ გაცემულ დირექტივს. ამის გამო წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მთავრობას—გაძლიეროს ბრძოლა საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ და მოახდინოს ყველა ბიუჯეტ-გარეშე წყაროს დაწვრილებითი გადასინჯვა მათი გაფორმებისათვის.

ო. მიენდოს ა/კსფსრ მთავრობას—განახორციელოს 1928-29 წ. ბიუჯეტით 1927-28 წლის ბიუჯეტის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირება, რაც გათვალისწინებულია საკავშირო ორგანოებისა და ა/კსფსრ მთავრობის დირექტივებით და ბოლომდე შესრულებული არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მოისმინა-რა ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუ-ტატების საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვანო ბოლქვაძის მოხსენება, სესსია აღნიშ-ნავს ქალაქ ტფილისის ფინანსიური მეურნეობის მეტის-მეტად გაჭირვებულ მდგომარეობას და ადგენს—მხარი დაუჭიროს ტფილისის საბჭოს შუადგომლო-ბას სათანადო საკავშირო ორგანოების წინაშე—ხანგრძლივი სესხის სახით 3.000.000 მიცემის შესახებ,—ქალ. ტფილისის ფინანსიური მეურნეობის გაჯან-საღებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. ნოემბრის 1. ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 488. დაიბეჭდა 1000.